დამტკიცებულია ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2018 წლის 28 მარტის №05-01/01 გადაწყვეტილებით

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი

(19.05.2025, №05-01/07)

პრეამბულა

ქ. ბათუმში უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორია სათავეს იღებს გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან. დღესდღეობით სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ერთდროულად ახორციელებს სწავლებას ხელოვნების ოთხივე მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება. უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი მისია აკისრია რეგიონისა და ქვეყნის წინაშე - აღზარდოს სახელოვნებო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შემოქმედებით წვლილს შეიტანენ ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ფასეულობების განვითარებაში. **(19.05.2025, №05-01/07)**

უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისათვის განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.

უნივერსიტეტის საქმიანობის პრინციპებია:

ა) უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობა და მათი ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

დ) თანასწორი მოპყრობა, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რეგილიური შეხედულებებისა და სხვა;

ე) უნივერსიტეტში არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსების საჯაროობა.

მუხლი 1. ეთიკის კოდექსის დანიშნულება და გამოყენება

1. წინამდებარე ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი და სხვა საუნივერსიტეტო აქტები.

2. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) ეთიკის კოდექსი განკუთვნილია უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მოწვეული მასწავლებლების, სპეციალისტების, სტუდენტებისა და მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების/კურსების მსმენელებისათვის (შემდგომში-სტუდენტი). **(19.05.2025, №05-01/07)**

3. კოდექსი ადგენს სწავლისა და სწავლების პროცესში ჩართული პირების ქცევის წესს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს. ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ქცევის ნორმები არ არის ამომწურავი. კოდექსის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს მიაწოდოს ეთიკური სტანდარტების შესაბამისად სამოქმედო სახელმძღვანელო პრინციპები.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი და მოწვეული სპეციალისტი

1. აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი და მოწვეული სპეციალისტი ვალდებულია:

ა) სასწავლო პროცესი წარმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის მიერ დადგენილი მეცადინეობის „ცხრილის“ შესაბამისად;

ბ) განაახლოს სასწავლო კურსის თემატიკა შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების თანახმად;

გ) მუდმივად იღვაწოს აკადემიური, პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად;

დ) აქტიურად მონაწილეობდეს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში; **(19.05.2025, №05-01/07)**

ე) მისცეს სტუდენტებს სათანადო ცოდნა, გაუწიოს ინტელექტუალური და აკადემიური ხელმძღვანელობა;

ვ) ლექციაზე შევიდეს დროულად, სათანადო დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული;

ზ) სტუდენტებს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ, შეიმუშაოს და დანერგოს სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რაც გამორიცხავს პლაგიატს;

თ) არ დაუშვას ლექციის დროზე ადრე დამთავრება, ან გაცდენა სერიოზული მიზეზის გარეშე;

ი) მეცადინეობის გაცდენის თითოეულ ფაქტზე წარმოადგინოს განმარტება მეცადინეობის გაცდენის მიზეზების შესახებ;

კ) უზრუნველყოს თითოეული საპატიო მიზეზით გაცდენილი მეცადინეობის აღდგენა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში;

ლ) არ გამოიყენოს ლექცია რელიგიური ან პოლიტიკური აგიტაციისათვის ან/და პროპაგანდისათვის;

მ) დანიშნულ დროს დადგენილი წესის შესაბამისად, ჩაატაროს გამოცდა და შეაფასოს ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნა;

ნ) გამოიჩინოს თანაბარი ყურადღება და მზრუნველობა ყველა სტუდენტის მიმართ;

ო) სტუდენტის შეფასებისას იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი;

პ) არ მიიღოს სტუდენტისგან საჩუქარი ან სხვა სახის სარგებელი მისთვის მაღალი შეფასების ან უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ;

ჟ) პატივი სცეს სტუდენტთა აზრებს, შეუქმნას მათ ყველა პირობა იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად, ხელი შეუწყოს განსხვავებული აზრის პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას; (31.07.2020,№05-01/01)

რ) იყოს კოლეგიალური და კორექტული კოლეგებთან მიმართებაში, არ დაუშვას კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობა და გაღვივება;

ს) კოლეგის მიმართ შენიშვნის გამოთქმისას იყოს სამართლიანი და ობიექტური, კრიტიკა არ უნდა შეიცავდეს უხეშ და მიუღებელ კომენტარებს, დაუშვებელია კოლეგის დამცირება და შეურაცხყოფა;

ტ) არ დააკნინოს კოლეგის პროფესიონალიზმი, არ დაამახინჯოს კოლეგის შეხედულება საკუთარი პოზიციის გამყარების მიზნით;

უ) არ დაუშვას სტუდენტების მხრიდან კოლეგის მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოველი ინფორმაციის გავრცელება;

ფ) არ მოითხოვოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები.

2. პროფესორ-მასწავლებელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ინტელექტუალური საკუთრების არსი, იგი უნდა იცავდეს და აღიარებდეს საავტორო უფლებებს, მისთვის მიუღებელი უნდა იყოს პლაგიატი.

3. დაუშვებელია სტუდენტის შესაძლებლობების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება.

4. პროფესორ-მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს საუნივერსიტეტო საქმიანობის განვითარებასა და პოპულარიზაციას, კოლეგებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამკვიდრებას.

მუხლი 3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

1.ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ვალდებულია:

ა) უნივერსიტეტში შექმნას სასწავლო, შემოქმედებითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის შესაფერისი გარემო;

ბ) ემორჩილებოდეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედ კანონმდებლობას;

გ) პატივს სცემდეს უნივერსიტეტს და მის ტრადიციებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყრას სამართლიანად და პატივისცემით;

დ) არ დაუშვას თანამშრომლებისა და სტუდენტების დისკრიმინაცია ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების ან სხვა ნიშნით; **(19.05.2025, №05-01/07)**

ე) არ ჩაიდინოს უნივერსიტეტის დისკრიმინაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, განურჩევლად იმისა, თუ სად არის იგი ჩადენილი;

ვ) თავაზიანად და კორექტულად მოეპყრას სტუდენტებს, თანამშრომლებსა და უნივერსიტეტში მოსულ მოქალაქეებს, გააცნოს საკუთარი თავი და დაკავებული თანამდებობა, იყოს ყურადღებიანი და ზრდილობიანი;

ზ) როგორც სამსახურეობრივი ურთიერთობებისას, ისე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, არ გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით;

თ) იყოს კოლეგიალური და კორექტული კოლეგებთან ურთიერთობაში, არ დაუშვას კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობა და გაღვივება;

ი) კოლეგის მიმართ შენიშვნის გამოთქმისას იყოს სამართლიანი და ობიექტური;

კ) კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს მისთვის მინდობილი სამუშაო;

ლ) ხელშკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დრო მთლიანად მოახმაროს უნივერსიტეტის ინტერესებს;

მ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, უზრუნველყოს მისთვის მინდობილი დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა;

ნ) ან დაუშვას და თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები;

ო) არ დააგვიანოს სამსახურში ან არ გააცდინოს საპატიო მიზეზის გარეშე;

პ) არ გამოცხადდეს უნივერსიტეტში არაფხიზელ მდგომარეობაში;

ჟ) არ მოსწიოს თამბაქო უნივერსიტეტის შენობაში/ტერიტორიაზე;

რ) თავი შეიკავოს ისეთი ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ჩრდილს მიაყენებს უნივერსიტეტის საქმიან რეპუტაციას.

2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

მუხლი 4. უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის ურთიერთობა

1. უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა.

2. პერსონალმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მის ზემდგომ ან ქვემდგომ თანამდებობის პირს, თანამშრომელს, მის ხელთ არსებული საშუალებით უნდა აღმოუჩინოს აუცილებელი დახმარება სამსახურებრივ საკითხებზე, თუ თანამშრომელს არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება.

მუხლი 5. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

1. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში დასაქმებული პირების პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა.

2. უნივერსიტეტს ეკისრება ვალდებულება, მართლზომიერად დაამუშაოს უნივერსიტეტში დაცული დასაქმებული პირების პერსონალურ მონაცემთა შემცველი ინფორმაცია. **(19.05.2025, №05-01/07)**

მუხლი 6. სტუდენტი

1.სტუდენტი ვალდებულია:

ა) პატივს სცემდეს უნივერსიტეტს, სადაც ის ცოდნას ეუფლება;

ბ) ასრულებდეს უნივერსიტეტში ქცევის მოთხოვნებს;

გ) იყოს კანონმორჩილი, ეროვნული ტრადიციებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი ერთგული, მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე პიროვნება;

დ) კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სწავლის პროცესს;

ე) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, წესრიგი, ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

ვ) არ დაუშვას ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია;

ზ) მართლზომიერად ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

თ) პატივი სცეს უნივერსიტეტის ტრადიციებს, უნივერსიტეტში დასაქმებული პირებისა და სხვა სტუდენტების კანონიერ უფლებებს;

ი) ჰქონდეს გაცნობიერებული ინტელექტუალური საკუთრების არსი, დაიცვას საავტორო უფლებები, მისთვის მიუღებელი უნდა იყოს პლაგიატი.

2. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) მეცადინეობებზე დაგვიანებით შესვლა, ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა;

ბ) ბილწსიტყვაობა;

გ) სასწავლო პროცესის ჩაშლა;

დ) სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, მასწავლებელთა, მოწვეულ სპეციალისტთა და სხვა პირებისადმი უხეში და დამამცირებელი ქმედება, ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფა;

ე) პლაგიატი (სხვისი ნამუშევრის სრულად ან ნაწილობრივ გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე);

ვ) სხვის მიერ მომზადებული დავალების/ნაშრომის მთლიანად ან ნაწილობრივ გადმოწერა;

ზ) ლექტორის ნებართვის გარეშე გამოცდებზე წინასწარ მომზადებული ჩანაწერების გამოყენება;

თ) საშინაო/საგამოცდო დავალების შესრულებისას ინფორმაციის გაყალბება ან შეცვლა, ყალბი წყაროებისა და მონაცემების გამოყენება და მითითება;

ი) სხვა სტუდენტებისათვის განათლების მიღების უფლების შეზღუდვა;

კ) სხვა სტუდენტებისათვის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და წიგნადი ფონდით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;

ლ) უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლისადმი დაუმორჩილებლობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება, ღირსების შეურაცხმყოფელი ქცევა;

მ) სხვისი, მათ შორის სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრების მითვისება;

ნ) უნივერსიტეტის დოკუმენტების/ჩანაწერების ფალსიფიცირება, გადაკეთება, შეცვლა და განადგურება;

ო) უნივერსიტეტის შენობის და ტერიტორიის დაბინძურება, შენობის იერსახის დამახინჯება;

პ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განზრახ დაზიანება/განადგურება, საფრთხეში ჩაგდება და არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენება;

ჟ) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება;

რ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;

ს) სხვის ნაცვლად ან სხვის მიერ მის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება;

ტ) უნივერსიტეტის შენობაში/ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა;

უ) არაფხიზელ მდგომარეობაში უნივერსიტეტში გამოცხადება;

ფ) აზარტული თამაშები;

ქ) უნივერსიტესტის შენობაში/ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და მოხმარება;

ღ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ასაფეთქებელი საშუალების, ცივი იარაღი ან/და ცეცხლსასროლი იარაღის, საფრთხისშემქმნელი მასალების შემოტანა, შენახვა, გავრცელება და გამოყენება;

ყ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი ან/და ტოქსიკური საშუალებების შემოტანა, შენახვა, გავრცელება და მოხმარება.

3. უნივერსიტეტი თავის მხრივ ვალდებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საუნივერსიტეტო აქტების შესაბამისად დაიცვას სტუდენტის უფლებები, მათ შესახებ კონციდენციალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ. სტუდენტის საგამოცდო ნაშრომების და დავალებების გაცნობის უფლება უნდა მიეცეს, მხოლოდ მათ ავტორ სტუდენტებს.

მუხლი 7. აკადემიური ეთიკა (31.07.2020,№05-01/01)

უნივერსიტეტში აკადემიური ეთიკის დარღვევად მიიჩნევა:

ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობით; ავტორების ან წყაროების მითითებისას გარკვეული სახის ინფორმაციის გამორჩენა ან არევა;

გ) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების იმგვარი გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;

დ) თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ არაერთხელ წარდგენა/გამოქვეყნება ციტირების ან შესაბამისი მითითების გარეშე (მაგალითად: სხვადასხვა პუბლიკაციებში ერთი და იგივე თავების გამეორება შესაბამისი მითითების გარეშე); სტუდენტების მიერ ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა მიზნებისთვის (სხვადასხვა კურსის, სხვადასხვა პროგრამის, პროექტის, კონკურსის ფარგლებში);

ე) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;

ვ) საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე; სხვის მიერ შესრულებული შემოქმედებითი ნამუშევრის ასლის შესრულება/გადატანა საავტორო უფლებების დაცვის, ავტორის მითითებისა და ნებართვის გარეშე;

ზ) გამოუქვეყნებელი მასალის (ნაშრომი, შემოქმედებითი ნამუშევარი/პროექტი, სალექციო კურსი და სხვა) გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის

1. სტუდენტი და უნივერსიტეტში დასაქმებული პირი აღიარებს უნივერსიტეტის უფლებას ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

2. დისციპლინური საქმისწარმოების აღძვრის საკითხის წამოჭრის უფლება აქვს უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს ან დასაქმებულს, რომელიც თვლის, რომ დაირღვა წინამდებარე კოდექსის მოთხოვნები და ზიანი მიადგა მის ან უნივერსიტეტის ინტერესებს.

3. ეთიკის კოდექსის დარღვევაზე რეაგირების მიზნით რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება დისციპლინური კომისია, რომელიც საქმიანობას წარმართავს წინამდებარე კოდექსითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება აკადემიურ პერსონალს, კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენელიც.

5. სტუდენტის მიმართ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს ფაკულტეტი.

ფაკულტეტის დეკანი საქმეზე ნიშნავს სპეციალურ მომკვლევთა ჯგუფს სამი წევრის შემადგენლობით. მომკვლევთა მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე დეკანს გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების ან სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ .

6. ამ კოდექსით გათვალისწინებული აკადემიური ეთიკის დარღვევის შემთხვევაში, რექტორის წარდგინებით და აკადემიური საბჭოს დადგენილებით იქმნება აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც საქმიანობას წარმართავს წინამდებარე კოდექსით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და აკადემიური საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. (19.05.2025, №05-01/07)

7. აკადემიური ეთიკის დარღვევის შესახებ განცხადების საფუძველზე ჩატარებული მოკლვევის შედეგად წარმოდგენილი კომისიის დასკვნით თუკი დადასტურდება დარღვევის არსებობა, აკადემიური საბჭო მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და წარდგინებით მიმართავს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორცილების მიზნით.

მუხლი 9. ეთიკის ნორმების დაცვა

სტუდენტებისა და უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება შინაგანაწესით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.